




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 144



2016 წლის 19 დეკემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღების, მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსების უზრუნველყოფის, საეკლესიო გალობისა და ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციისა და სიმებიანი კვარტეტის ფუნქციონირებისთვის საჭიროა დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი 2017 წლის პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი 2017 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 173 800 (ას სამოცდაცამეტი ათას რვაასი) ლარი დანართი №1 შესაბამისად (თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვრიდან;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე

## ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში განსახორციელებელი პროგრამა

### მუხლი 1. პროგრამის მიზანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სფეროში ფუნქციონირებს სამი არასამეწარმეო იურიდიული პირი „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხაშურის სამუსიკო სკოლა“, „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება სურამის სამუსიკო სკოლა“ და „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა“. პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა თაობას მუსიკალური განათლების მიღების პროცესში.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას საფუძვლად უდევს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მუხლი 18, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

### მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა თანადაფინანსებას, თითოეულ ბავშვზე 26 ლარის ოდენობით სასწავლო და არასასწავლო პერიოდშიც (პედაგოგთა და სხვა პერსონალის სტაბილური და სისტემატური ანაზღაურების უზრუნველსაყოფად), ასევე ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ხარჯებს.

ადგილობრივი თვითმმართველობა აღნიშნული პროგრამით ხელს უწყობს, მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და პედაგოგთა ხელფასების სტაბილურად გაცემას, რაც მთლიანობაში მშობელთა მიერ სწავლების გადასახადის სახით გადახდილ თანხებთან ერთად უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

### მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა: 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 173 800 ლარი. თანხის გაანგარიშებას საფუძვლად უდევს პროგრამის შედგენის მომენტისათვის სკოლებში რეგისტრირებულ მოსწავლეთა რაოდენობა (464 მოსწავლე), აგრეთვე, გათბობისა და ელექტროენერჯის უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯი.

№	დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა	სუფსიდიების ოდენობა წლიურად
1	არასამეწარმეო იურიდიული პირი ხაშურის სამუსიკო სკოლა	265	116 100
2	არასამეწარმეო იურიდიული პირი სურამის სამუსიკო სკოლა	115	33 200
3	არასამეწარმეო იურიდიული პირი ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა	84	24 500
4			სულ: 173 800

#### მუხლი 5. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მუსიკალური განათლების მიღება.

#### მუხლი 6. შეფასების ინდიკატორი

სამუსიკო სკოლების მიერ მოწყობილი ღონისძიებების რაოდენობა;

ღონისძიებებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა;

მოწვეული სტუმრების რაოდენობა;

სხვადასხვა დონის ფესტივალებსა და კონკურსებში წარმატებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა.